



ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო



განკარგულება № 63

2011 წლის 27 მაისი
ქალაქი ხაშური

მოქალაქე გელა კაპანაძის განცხადების განხილვა ქ. ხაშურში იმერეთის ქუჩაზე
კერძო საკუთრებაში არსებული შენობის მისამართის დადგენის შესახებ

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შემოსულია ქ. ხაშურში ბორჯომის ქუჩა N 144-ში მცხოვრები მოქალაქე გელა კაპანაძის განცხადება, იმერეთის ქუჩაზე კოლექტიურ საკუთრებაში არსებული შენობის მისამართის დადგენის შესახებ. „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ც“ ქვეპუნქტის და საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლოების საკითხთა შემსწავლელი დროებითი სამუშაო ჯგუფის დასკვნის შესაბამისად:

1. ქ. ხაშურში იმერეთის ქუჩაზე მოქალაქე გელა კაპანაძის განცხადების შესაბამისად კოლექტიურ საკუთრებაში არსებული შენობის მისამართი დადგენილი იქნას: „ქ. ხაშური, იმერეთის ქუჩა N 11“
2. განკარგულება ძალაში შედის არსებული კანონმდებლობის შესაბამისად.
3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ან რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ხაშური, კოსტავას ქ. №15) ერთი თვის განმავლობაში.

საკრებულოს თავმჯდომარე

